

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის

ოქმი № 21

„15“ ნოემბერი 2023 წ.

ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა : თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
თენგიზი მთვარელიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მამუკა ბურდიაშვილი;

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ალექსანდრე შათირიშვილი, მიხეილ დაღუნდარიძე;

საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ლილუაშვილი;

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების
კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი;

სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე
გიორგი ხაჭაპურიძე;

ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე დავით ლაღანიძე;

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე
ოთარ ესიტაშვილი;

საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე;

დღის წესრიგი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტების საკრებულოს კომისიებში
განსახილველად გადანაწილების და კომისიების სხდომების გრაფიკის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. თ.მთვარელიშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის, ავტობუსების
გაჩერებებზე მოდერნიზებული და ენერგოეფექტური მოსაცდელელების მოწყობის ორგანიზების
შესახებ თემატური მოკვლევის ჯგუფის დასკვნის შესახებ.

მომხს. ლ.კოჭლოშვილი

1. მოსმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტების საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილების და კომისიების სხდომების გრაფიკის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. თ. მთვარელიშვილი

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული ყველა პროექტი წარმოადგენს ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის განხილვის საგანს, აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ ყველა კომისიამ განიხილოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი და პრიორიტეტების დოკუმენტი.

აზრი გამოთქვას: დ. ლაღანიძემ, ზ. ლილუაშვილმა.

გადაწყვიტეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის მერიიდან საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარმოდგენილი საკითხები განიხილოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ.

2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების გრაფიკი განისაზღვროს შემდეგი სახით:

1. 20 ნოემბერი 2023 წელი

11.00 საათი - სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისია

14.00 საათი - სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

2. 21 ნოემბერი 2023 წელი

11.00 საათი - ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია

13.00 საათი - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისია

3. 22 ნოემბერი 2023 წელი

11.00 საათი - საფინანსო საბიუჯეტო კომისია

2. მოსმინეს: თელავის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის, ავტობუსების გაჩერებებზე მოდერნიზებული და ენერგოეფექტური მოსაცდელების მოწყობის ორგანიზების შესახებ თემატური მოკვლევის ჯგუფის დასკვნის შესახებ.

მომხს. ლ. კოჭლოშვილი

ლ. კოჭლოშვილმა ბიუროს წევრებს წარუდგინა თელავის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის, ავტობუსების გაჩერებებზე მოდერნიზებული და ენერგოეფექტური მოსაცდელების მოწყობის ორგანიზების შესახებ თემატური მოკვლევის ჯგუფის დასკვნა.

ბიუროს წევრების მიერ აღინიშნა, რომ თემატური მოკვლევის ჯგუფის დასკვნა და რეკომენდაციები უნდა გაითვალისწინოს მუნიციპალიტეტის მერიამ საზოგადოებრივი ტრანსპორტის ორგანიზების მიმართულებით.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის, ავტობუსების გაჩერებებზე მოდერნიზებული და ენერგოეფექტური მოსაცდელების მოწყობის ორგანიზების შესახებ თემატური მოკვლევის ჯგუფის რეკომენდაცია გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას.

საკრებულოს თავმჯდომარე



თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე მოდერნიზებული და ენერგოეფექტური მოსაცდელების მოსაწყობად შერჩეული სავარაუდო ლოკაციების განსაზღვრის შესახებ.

დასკვნა

თემატური მოკვლევის ჯგუფის წევრებმა ადგილზე გასვლით შეისწავლეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებების მოსაწყობად ლოკაციების საკითხი და განხილვის შედეგად შერჩეული იქნა 17 ლოკაცია, კერძოდ:

1. ქ. თელავის შემოსასვლელთან , ჭავჭავაძის გამზირის ბოლოში -52.08.42.204
2. გ. ლეონიძის ქ.N1^ა , სპორტსკოლასთან - 53.20. 42.113
3. თამარისქ. N79-ის მიმდებარედ (მე-8 სკოლის მიმდებარე ტერიტორია) 53.20.35.219
4. რუსთაველის გამზირიN 27 მიმდებარედ (მაღაზია გურმანთან) 53.20.35.693
5. ვ.სეხნიაშვილის ქ. რეფერალურ საავადმყოფოსთან. 53.20.31.838/823
6. კავკასიონის ქ.N61 მიმდებარე ტერიტორია, რაგბის ტადიონთან 53.20.31.818
7. კავკასიონის ქუჩის დასაწყისი N35-37 ბინების მიმდებარედ 53.20.31.816
8. გ.სააკაძის ქ. N4^ბ მერიის შენობის გვერდით, მაღაზია „განთიადის“ მიმდებარე ტერიტორია 53.20.37.612
9. ქართული უნივერსიტეტის ქუჩა, უნივერსიტეტისა და კოლეჯის მიმდებარედ 53.20.42.857
10. ალადაშვილისქ. რაი საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია 53.20.42.846/845
11. ერეკლე II გამზირი (ახალ ბაღთან) 53.20.37.106
12. თამარის ქუჩის 41-ის მიმდებარედ, ლეგიონის მთავარ შესდასვლელთან
13. ი.ჭავჭავაძის გამზირი , ძველი აბანოს მიმდებარე ტერიტორია 53.20.36.685
14. ბახტრიონის ქუჩა (შუა ნაწილი) გოგებაშვილის ქუჩის შესახვევამდე ტერიტორია 53.20.41.307
15. პარკ „ნადიკვართან“ (მარჯანიშვილის ქ. N31^ა -N31^ბ მიმდებარე ტერიტორია)
16. რუსთაველის გამზირი N64-ის მიმდებარე ტერიტორია 53.20.35.693
17. თაყაიშვილისა და დავით რექტორის ქუჩების მიმდებარედ (მრავალბინიანი კორპუსებისა და დავით რექტორის 55-ის მიმდებარედ) 53.20. 46.057

თემატური მოკვლევის ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია:
-სეხნიაშვილის ქუჩაზე გაჩერება მოეწყოს შუა ნაწილში.

-ჭავჭავაძის ქუჩაზე IX სკოლის მიმდებარედ დაიდგას ამკრძალავი ნიშანი 327 (დგომა აკრძალულია) და დამატებითი ინფორმაციის ნიშანი 8.2.1 მოქმედების ზონა 30 მ. მოქმედების დროის მონაკვეთების მითითებით.

- ქეთევან წამებულის ქუჩაზე ორის ნაცვლად მოეწყოს ერთი გაჩერება

- ნადიკვრის ქუჩაზე არსებული გაჩერება არის არაკომფორტული თუმცა მიმდებარედ ვერ მოინახა სხვა ადგილი ავტობუსის გაჩერებისათვის

თემატური მოკვლევის ჯგუფის

მთავარი მომხსენებელი:



ლ. კიკლოშვილი

14.11.2023 წ.